

ქვეპროგრამის დასახელება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას, შშმ პირთა სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფას.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შშმ პირი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განცხადების წარდგენის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ პერიოდში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ამგვარი შეწყვეტის შედეგად არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.
- შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები;
- შშმ პირთა

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;
- სხვა საჭიროებების უზრუნველყოფა.

როგორ უნდა მიიღოს პირმა ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ?

მომსახურების მიღება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის განცხადებით მიმართვის საფუძველზე.

რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს პირმა ?

ორგანიზაციის შემთხვევაში, სხვადასხვა აქტივობის დასაფინანსებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ;
- პროექტი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტი.

შშმ პირების სხვა საჭიროებების დასაფინანსებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- შშმ პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის შემთხვევაში დამატებით დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განცხადების წარდგენის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეგისტრაციის ფაქტი;
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა;
- მომსახურების ხარჯების ინვოისი/ანგარიშფაქტურა;